188
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი—ივნისი

1976 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი-ივნისი 1976 წ.

Z 3333

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

33. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

35. „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სარეზიზიო აპარატის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 იანვრის № 18 დადგენილების მე-9 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

36. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სახელწოდების შეცვლის შესახებ

37. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

38. წყლის ობიექტების განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ.

39. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მოქალაქეთა ასაკის დამდგენი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

40. საქართველოს სსრ-ში საარქივო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა **შესახებ**

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ
42. სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილის განსაზღვრის წესის შესახებ
43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აგვისტოს № 475 დადგენილების მე-5 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
44. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-*კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის შელაქის საცდელი სადგურის გარდაქმნის შესახებ*
45. საქართველოს სსრ შიდა წყალსატევებში და შავი ზღვის სანაპირო ზონაში მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ
46. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ.
47. სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სესხების მიხედვით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ვადაგასული დავალიანების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

33 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 24 მაისი, № 369

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 24 მაისის № 369
დადგენილებით

დებულება

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის სამმართველოს შესახებ

1. საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველო ექვემდებარება როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს.

კეთილმოწყობის სამმართველოს დაქვემდებარებაშია: სანიტარიული დასუფთავების საქალაქო განყოფილება რაიონული სპეცავტომეურნეობების კანტორებით, „ქალაქგაფორმების“ კომბინატი, საგზაო-სარემონტო-საექსპლუატაციო სამმართველო რაიონული საგზაო საექსპლუატაციო უბნებით და ასფალტბეტონის ქარხნით, გარე განათების საწარმო „თბილქალაქგანათება“ და სპეცობიექტი.

2. კეთილმოწყობის სამმართველოს ძირითად ამოცანასა და მოვალეობას შეადგენს:

— ქალაქის გარე კეთილმოწყობის ობიექტების საბუღალტრო ბალანსზე აყვანა, მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია, გზების, მაგისტრალური ქუჩებისა და მოედნების, ხიდებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების, საზოგადოებრივი სარგებლობის რეტერადებისა და სანაგვე ყუთების, ქალაქის ნაგავსაყრელი ადგილის, გაზგანათებისა და შუქრეკლამების, მხატვრულ-დეკორატიული პანოების, მცირე არქიტექტურული ფორმების მოვლა-პატრონობა, ქუჩებისა და მოედნების სანიტარიული დასუფთავება, საოჯახო-სამეურნეო ნაგვის გატანა, ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების განათება;

— დაქვემდებარებული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა; კაპიტალური მშენებლობის, ქალაქის ქუჩების განათების, გაზგანათებისა და შუქრეკლამების, მხატვრულ-დეკორატიული პანოების, მცირე არქიტექტურული ფორმების დამკვეთის ფუნქციების შესრულება;

— სამმართველოში შემავალი ყველა ობიექტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება;

— კეთილმოწყობის ობიექტებზე რაციონალიზატორული წინადადებების, მეცნიერების, ტექნიკისა და ავტომატიზაციის ახალი მიღწევების დანერგვა;

— უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება.

3. სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი. აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს სესიათა შორის ნიშნავს სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, აგრეთვე ათავისუფლებს მას დაკავებული თანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებობიდან, რაც შემდგომში უნდა იქნეს დამტკიცებული საბჭოს მომდევნო სესიაზე.

4. კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს სამმართველოსთან დაკავშირებული ყველა საკითხის გადაწყვეტას, პასუხისმგებელია სამმართველოს მდგომარეობისათვის, გეგმის შესრულებისათვის, კადრების შერჩევისა და სამმართველოს სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის სწორად განხორციელებისათვის;

— ამტკიცებს სამმართველოს საწარმოო-საფინანსო გეგმებს და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, ანაწილებს ლიმიტებს სამეურნეო ანგარიშებზე მყოფ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის, აძლევს მათ წლიურ და კვარტალურ დავალებებს და ხელმძღვანელობს მათ მუშაობას;

— უზრუნველყოფს დაქვემდებარებული ორგანიზაციების ნორმალურ მუშაობას დამტკიცებული ნორმების დაცვის გზით;

— ახორციელებს ახალ მშენებლობას, მშენებლობა-რეკონსტრუქციას და კაპიტალურ შეკეთებას დამტკიცებული სატიტულო სიებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, გადასცემს ახალ სიმძლავრეებს საექსპლუატაციოდ;

— რაციონალურად იყენებს წარმოების ტექნიკისა და მექანიზაციის საშუალებებს, წარმოების მატერიალურ რესურსებს და დასახული გეგმის შესაბამისად წარუდგენს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს ტექნიკური ნორმებით დასაბუთებულ განაცხადებს მექანიზმებზე, მასალებსა და მოწყობილობებზე საექსპლუატაციო საჭიროებისათვის. წარმოების რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად დადგენილი ნორმატივების ფარგლებში ქმნის მასალებისა და დანადგარების მარაგს;

— წარმოების დაფინანსების წყაროების სწორად წარმართვით უზრუნველყოფს მაქსიმალურ ეკონომიას, აწარმოებს საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვიანობას და აღრიცხვის შედეგებს წარუდგენს ზემდგომ ორგანოებს დაწესებულ ვადებში;

— არსებული წესის დაცვით ანაწილებს საკუთარ საბრუნავ სახსრებს დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ ორგანიზაციებს შორის;

— საჭირო შემთხვევაში ახორციელებს მუშა-მოსამსახურეთა თანამდებობრივი განაკვეთების შეცვლას დამტკიცებული სქემების ფარგლებში;

— შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით ნიშნავს და ათავისუფლებს მუშა-მოსამსახურეებს;

— წარადგენს ზემდგომ ორგანოებში პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

— წლიურ და კვარტალურ გეგმებს დამტკიცების შემდეგ უგზავნის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შესასრულებლად, უდგებს ხელშეკრულებებს საპროექტო და მოიჯარე ორგნიზაციებს ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე სამშენებლო და კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესრულებაზე;

— ხელს აწერს მატერიალურ ფასეულობათა გაცემის მინდობილობებს, საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებასა და საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაუდებს კოლექტიურ ხელშეკრულებას კეთილმოწყობის სამმართველოს გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტს და უზრუნველყოფს მის შესრულებას;

— გაშლის სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოებსა და ცალკეულ ბრიგადებს შორის, აჯამებს შეჯიბრების შედეგებს და აჯილდოებს მოწინავეებს.

5. კეთილმოწყობის სამმართველო იმყოფება დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი სრული დასახელებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

34 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 ივნისის № 427 დადგენილება „საქართველოს სსრ წყლის რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 ივლისის № 501 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 ივნისის № 427 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 31 იანვრის № 50 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტის სახელწოდების შეცვლის და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 23 აგვისტოს № 548 დადგენილება „დოკუმენტური მასალების მუდმივშემადგენლობიანი რაიონული, რაიონულ-საქალაქო, საქალაქო სახელმწიფო არქივის დებულების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 დეკემბრის № 771 დადგენილება „საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის იურიდიული განყოფილების, მთავარი (უფროსი) იურისკონსულტის, იურისკონსულტის დებულების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 იანვრის № 6 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს შექმნის შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 ოქტომბრის № 635 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 12 აგვისტოს № 424 დადგენილება „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 26 მაისი, № 371

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სარევიზიო აპარატის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 იანვრის № 18 დადგენილების მე-9 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების სარევიზიო აპარატის საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 იანვრის № 18 დადგენილების მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ანალოგიური ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებანი ამ დადგენილების შესაბამისად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 27 მაისი, № 377.

36 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სახელწოდებების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და იმასთან დაკავშირებით, რომ მისი სისტემის საბჭოთა მეურნეობებში სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავებისა და მართვის სრულყოფის მიზნით ციტრუსების, ტუნგისა და დაფნის საბჭოთა მეურნეობები გამოეყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტს და მათ ბაზაზე შეიქმნა მეციტრუსეობის რესპუბლიკური გაერთიანება, შეეცვალოს სახელწოდება ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრესტს და ამიერიდან მას ეწოდოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 2 ივნისი, № 386

37 საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 28 აპრილის № 278 დადგენილებასთან — „სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საკითხები" — დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 7 აგვისტოს № 426 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს დებულებაში შემდეგი ცვლილებანი:

ა) მე-2 პუნქტის მეოთხე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისტემაში მოიყვანოს და მოამზადოს წინადადებანი კანონმდებლობის კოდიფიკაციის შესახებ, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ განხორციელებულ საკოდიფიკაციო სამუშაოთა დონის ამაღლებას, კანონმდებლობის სრულყოფას კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად";

ბ) დაემატოს მე-6 პუნქტის „კ" ქვეპუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„ამზადებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა გათვალისწინებით სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფის სამუშაოთა გეგმების პროექტებს, კოორდინაციას უწევს გეგმებით გათვალისწინებული საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიერ, მეთოდიკურ დახმარებას უწევს მათ, მონაწილეობს გეგმების შესაბამისად ამ მუშაობაში და ახორციელებს კონტროლს სამინისტროებისა და უწყებების მიერ აღნიშნული გეგმების შესრულებისადმი".

2. ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვის უზრუნველსაყოფად დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს გაუგზავნონ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საბჭოთა კანონმდებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს თითო ეგზემპლარი საქართველოს სსრ მთავრობის ნორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიული გადაწყვეტილებანი და რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ნორმატიული აქტები, რომლებიც სავალდებულოა სხვა სამინისტროებისა და უწყებებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 2 ივნისი, № 389

38 წყლის ობიექტების განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ წყლის კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება წყლის ობიექტების განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ და განკერძოებული წყალსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის ფორმა.

2. დაწესდეს, რომ განკერძოებული წყალსარგებლობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო აქტს გასცემს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი იმ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელსაც წყლის ობიექტი (მისი ნაწილი) გადაეცა განკერძოებული სარგებლობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 7 ივნისი, № 398

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 7 ივნისის № 398
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წყლის ობიექტების განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ

1. ეს დებულება ვრცელდება საქართველოს სსრ ყველა წყლის ობიექტზე, თუ სხვა გათვალისწინებული არ არის სსრ კავშირის კანონმდებლობით.

2. წყლის ობიექტების (მათი ნაწილების) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემით დაინტერესებული საწარმოები, ორგანიზაციები დაწესებულებები აღძრავენ ამის შესახებ შუამდგომლობას საჭირო დასაბუთებით, ობიექტის ადგილსამყოფელის მითითებით, წყალსარგებლობის მიზნის, ძირითადი პირობებისა და ვადის აღნიშვნით.

შუამდგომლობას თან დაერთვის:

ა) წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ადგილობრივი ორგანოების, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის განმხორციელებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული ორგანოების დასკვნები;

ბ) წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) განკერძოებული სარგებლობისათვის გადასაცემად თანხმობის შესახებ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმის ამონაწერი, თუ მოცემული წყლის ობიექტი მდებარეობს კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, ან სხვა მიწათმოსარგებლეებთან შეთანხმების მასალები, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს წყლის ობიექტი (მისი ნაწილი);

გ) ცნობა მოცემული წყლის ობიექტით მოსარგებლე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების შესახებ, შემდგომი წყალსარგებლობის პირობების მათთან შეთანხმების ან წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის შესახებ;

დ) გეგმა და ძირითადი ჰიდროლოგიური მონაცემები წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) შესახებ;

ე) მშენებარე საწარმოს, ნაგებობის ან სხვა ობიექტის დახასიათება, ხოლო თუ წყლის ობიექტი (მისი ნაწილი) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაიცემა მშენებლობის დაწყებამდე, — ცნობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ ასაშენებლად გათვალისწინებული საწარმოს, ნაგებობის ან სხვა ობიექტის დახასიათებით.

3. ამ დებულების მე-2 პუნქტში აღნიშნულ შუამდგომლობებს საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები უგზავნიან:

ა) რაიონის, ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში არსებული წყლის ობიექტების (მათი ნაწილების) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ — მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომი 15 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას წყლის ობიექტების (მათი ნაწილების) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობის გამო და თავის დასკვნას მასალებთან ერთად უგზავნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე— შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი 15 დღის ვადაში განიხილავენ წარდგენილ მასალებს, იღებენ დადგენილებას მათს ტერიტორიაზე არსებული იმ წყლის ობიექტების (მათი ნაწილების) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ, რომლებიც არ განეკუთვნება სანაოსნო ან ხე-ტყის დასაცურებელ წყალსავალ გზებს და გამოცხადებული არაა ნაკრძალებად, და წარუდგენენ მას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს;

ბ) ორი ან მეტი რაიონის, ქალაქის (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა) ტერიტორიაზე არსებული წყლის ობიექტების (მათი ნაწილების) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ, აგრეთვე ყველა სხვა შემთხვევაში — შესაბამისად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს.

მასალებს ნაკრძალად გამოცხადებული (საქართველოს სსრ წყლის კოდექსის 77-ე მუხლი), აგრეთვე განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების მქონე (საქართველოს სსრ წყლის კოდექსის 21-ე მუხლი) წყლის ობიექტების (მათი ნაწილების) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები თავიანთი დასკვნებით უგზავნიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი ერთი თვის ვადაში განიხილავს წყლის ობიექტების განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე წარდგენილ მასალებს ყველა შემთხვევაში და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ უგზავნის მათ თავისი დასკვნით და დადგენილების პროექტით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

5. წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემით დაინტერესებული საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევებში, როდესაც ამისათვის საჭიროა საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, მოვალენი არიან დადგენილი წესით საპროექტო-საძიებო სამუშაოთა განხორციელებამდე წინასწარ შეუთანხმონ წყლის ობიექტის გადაცემის საკითხი ორგანოს, რომლის კომპეტენციასაც იგი განეკუთვნება.

შუამდგომლობა წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის წინასწარ შეთანხმების შესახებ გაიგზავნება და განიხილება ამ დებულების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული წესით.

შუამდგომლობას თან დაერთვის:

ა) ამ დებულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მასალები;

ბ) გეოლოგიური სამსახურის შესაბამისი ორგანოს ცნობა არჩეულ წყლის ობიექტზე (მის ნაწილზე) სასარგებლო წიაღისეულის არარსებობის შესახებ, ხოლო მათი არსებობისას — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის ორგანოების ნებართვა მშენებლობისათვის.

სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების ადგილის შეთანხმებისას შუამდგომლობას თან დაერთვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის შესაბამისი ორგანოს დასკვნა, სამთო ობიექტის გამოყოფის აქტის ასლი ან მისი ამონაწერი;

გ) სოფლის მეურნეობის ორგანოების ცნობა ობიექტის ადგილმდებარეობისა და მიწის ნაკვეთის (სამშენებლო მოედნის) შერჩევის შეთანხმების შესახებ, თუ განკერძოებული წყალსარგებლობა დაკავშირებულია მშენებლობისათვის მიწების გამოყენებასთან.

წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის წინასწარი შეთანხმება ძალაშია სამი წლის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება შეუძლია ორგანოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის შეთანხმების შესახებ.

6. შუამდგომლობა სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) გადაცემის შესახებ აღიძვრება, როგორც წესი, მას შემდეგ, რაც სამეურნეო სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოიყვანენ ადრე ამ მიზნით გათვალისწინებულ წყლის ობიექტებს (მათ ნაწილებს), რომლებზეც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება შეწყვეტილია.

7. შუამდგომლობა წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) განკერძოებული სარგებლობისათვის დამატებით გადაცემის შესახებ განიხილება ადრე გადაცემული წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) სწორი გამოყენების შემოწმების შემდეგ.

8. სახელმწიფო ორგანო, რომელმაც მიიღო დადგენილება (გადაწყვეტილება) წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ, უგზავნის ამ დადგენილებას (გადაწყვეტილებას) მშრომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელსაც ეკისრება განკერძოებული წყალსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემა, აგრეთვე ორგანოებს, რომელთა ინტერესებსაც შეეხება ამ ობიექტის გადაცემა.

9. წყლის ობიექტების (მათი ნაწილების) განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემის მასალები ერთიანდება განკერძოებული წყალსარგებლობის საქმეებად და ინახება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტში.

მუხ. 38
ფორმა დამტკიცებულია საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის
7 ივნისის № 398 დადგენილებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გერბი

განკერძოებული წყალსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტი

№ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო აქტი მისცა ———————— მშრომელთა დეპუტატების

რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ————————

(დასახელება და

————————————————————————————————

ადგილსამყოფელი წყალმოსარგებლე საწარმოსი, ორგანიზაციისა, დაწესებულებისა, რომელსაც

———————————————————— იმის შესახებ, რომ მას გან-

ეძლევა აქტი)

კერძოებული უვადო (———————— მდე ვადით) სარგებლობისათვის გადაეცა

————————————————————————————————

(წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) დასახელება და ადგილსამყოფელი)

წყლის ობიექტი განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემულია ———

————————————————————————————————

(სახელმწიფო ორგანოს დადგენილების გადაწყვეტილების)

————————————————————————————————

————————————————————————————————

(თარიღი და ნომერი)

საფუძველზე ————————————————————————— თვის

(მიზანი, დანიშნულება)

ეს სახელმწიფო აქტი შედგენილია ორ ცალად, რომელთაგან პირველი მიეცა წყალმოსარგებლეს, ხოლო მეორე ინახება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. ამ აქტს თან ერთვის განკერძოებული სარგებლობისათვის გადაცემული წყლის ობიექტის (მისი ნაწილის) გეგმა.

ბეჭდის ადგილი

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო)
საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ————————

197 ——— წლის „———“ ————————

ეროვნული ბიბლიოთეკა

39 მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული, მოქალაქეთა ასაკის დამდგენი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 14 თებერვლის № 64 დადგენილებით დამტკიცებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლისა და აღდგენის წესების მე-13 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მოქალაქეთა ასაკის დამდგენი კომისიის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 7 ივნისი, № 403

1333

ქ. მარტვილის საბ. საქ. სსრ საბჭოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 7 ივნისის № 403
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მოქალაქეთა ასაკის დამდგენი კომისიის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. კომისიის ამოცანაა დაადგინოს მოქალაქეთა ასაკი დაბადების აქტების დაკარგული ჩანაწერების მმაჩის ორგანოებში აღდგენისას, აგრეთვე დაბადების ვადაგასული რეგისტრაციისას, ისეთ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებლის მიერ მმაჩის ორგანოსათვის წარდგენილ დოკუმენტებში და შემოწმების მასალებში არ არის იმ პირის ასაკის დამადასტურებელი ცნობები, რომლის მიმართაც ხდება დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენა ან დაბადების ვადაგასული რეგისტრაცია, ანდა ასაკის შესახებ არის საწინააღმდეგო მონაცემები.

2. კომისია თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. მოქალაქეთა ასაკის დამდგენი კომისია იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქეთა ასაკის დადგენისათვის განსახილველი საქმეების რაოდენობა უმნიშვნელოა, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში ასაკის დამდგენი კომისია შეიძლება შეიქმნას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან.

4. ასაკის დამდგენი კომისია მოქმედებს თავმჯდომარის, მდივნისა და კომისიის წევრების შემადგენლობით.

კომისიის რიცხვობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ხუთი კაცისა, საბჭოს უფლებამოსილებათა ჯადით.

5. ასაკის დამდგენი კომისიის შემადგენლობა მტკიცდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

კომისიის შემადგენლობაში შედიან:

— მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი;

— მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი (მმაჩის) ჯანყოფილების (ბიუროს) გამგე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების წარმომადგენლები.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის შეიძლება მიწვეულ იქნენ დაინტერესებული ორგანოების, მათ შორის რაიონული, საქალაქო სამხედრო კომისარიატების წარმომადგენლები — გასაწვევი ასაკის პირთა ასაკის დადგენის შემთხვევებში, და სხვ.

6. ასაკის დამდგენი კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც უფლება აქვს მოისმინოს თავის სხდომებზე ანგარიშები კომისიის მუშაობის შესახებ.

7. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები გაიღება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახსრებიდან.

კომისიის ტექნიკური მომსახურება ეკისრება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელთანაც შექმნილია კომისია.

II. ასაკის დამდგენი კომისიისათვის მასალების გაგზავნისა და კომისიის მიერ მასალების განხილვის წესი

1. იმ შემთხვევებში, როდესაც დაბადების აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენის ან დაბადების ვადაგასული რეგისტრაციის შესახებ განცხადებისათვის თანდართულ დოკუმენტებში და შემოწმების მასალებში არ არის ასაკის დამადასტურებელი ცნობები ანდა არის საწინააღმდეგო მონაცემები ასაკის შესახებ, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი განყოფილება (ბიურო) განცხადებას მთელ არსებულ მასალებთან ერთად განსახილველად უგზავნის ასაკის დამდგენ კომისიას.

არასრულწლოვანი პირის ასაკის დადგენისას კომისიის განსახილველად იგზავნება მისი მშობლების, მშვილებლების, მეურვეების, მზრუნველების და სხვა პირების ანდა დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადება, რომელთა აღსაზრდელად იმყოფება ბავშვი.

გარდა განცხადებისა, კომისიის განსახილველად სავალდებულო წესით იგზავნება:

— მმაჩის არქივის ცნობა საქმის ჩანაწერის არარსებობის შესახებ;

— საკომლო ან საბინაო დავთრის ამონაწერი განმცხადებლის ასაკის, მისი ოჯახის შემადგენლობისა და ოჯახის წევრთა (თუ ოჯახი ჰყავს) ასაკის მონაცემებით;

— სამედიცინო კომისიის დასკვნა;

— 6×9 სანტიმეტრი ზომის ორი ფოტოსურათი.

მმაჩის ორგანოს თანხლებულ წერილს დაერთვის მმაჩის ორგანოს მიერ დამოწმებული მოქალაქის პასპორტის, პირადობის მოწმობის, სამხედრო ბილეთის, შრომის წიგნაკის ამონაწერი დაბადების წლის, თვისა და დღის აღნიშვნით, აგრეთვე სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ მისი ასაკის დამადასტურებელ ცნობებს.

2. ასაკის დამდგენი კომისია ასაკის საკითხს განიხილავს სამედიცინო დასკვნისა და მმაჩის ორგანოდან შემოსული სხვა მონაცემების (განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების და შემოწმების შედეგად მმაჩის ორგანოს მიერ მიღებული დოკუმენტების, შინაგან საქმეთა ორგანოს დასკვნის და ა. შ.) საფუძველზე.

16 წლამდე ბავშვთა ასაკი დგინდება, როგორც წესი, ბავშვის დაბადების შესახებ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე, სამედიცინო კომისიაზე ბავშვთა გაუგზავნელად. თუ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში არ არის ასეთი მონაცემები, აგრეთვე თუ 16 წლამდე ბავშვთა ასაკის დამადასტურებელი მონაცემები ეჭვს იწვევს, ასაკის დამდგენ კომისიას შეუძლია მათი ასაკი დაადგინოს სამედიცინო შემოწმების შემდეგ.

თუ კომისიას არ შეუძლია დაადგინოს დაბადების დღე და თვე, მაშინ დაბადების თარიღად აღინიშნება შესაბამისი წლის 1 ივლისი, თუ შეუძლებელია დაბადების დღის დადგენა, — აღინიშნება შესაბამისი თვის 15 რიცხვი.

თუ კომისიაში არსებული მასალების მიხედვით დადგენილია, რომ განმცხადებელი დაიბადა წლის პირველ ნახევარში, დაბადების დღედ იწერება შესაბამისი წლის 1 აპრილი, ხოლო თუ დადგენილია, რომ იგი დაიბადა წლის მეორე ნახევარში, აღინიშნება შესაბამისი წლის 1 ოქტომბერი.

3. საქმეებს ასაკის დადგენის შესახებ განიხილავს კომისია იმ მოქალაქეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც დაინტერესებული არიან დაბადების აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენით ან დაბადების ვადაგასული რეგისტრაციით, არა უგვიანეს 15 დღის ვადისა მმაჩის ორგანოდან მასალების შემოსვლის დღიდან.

დამატებითი შემოწმების ჩატარებისა და მასალების გამოთხოვის აუცილებლობის შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია გააგრძელოს ვადა, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

4. ასაკის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულოა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი განყოფილებისათვის (ბიუროსათვის).

III. მოქალაქეთა ასაკის დამდგენი კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

1. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს სხდომების მოწვევას საჭიროების კვალობაზე და ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის ორი მესამედი მაინც.

3. კომისიის სხდომაზე მიიწვევიან პირები, რომლებმაც შეიტანეს განცხადება დაბადების აქტის დაკარგული ჩანაწერის აღდგენის ან დაბადების ვადაგასული რეგისტრაციის შესახებ. მათ უფლება აქვთ მისცენ ახსნა-განმარტებანი არსებითად.

არასრულწლოვან ბავშვთა დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენისას, აგრეთვე არასრულწლოვანთა დაბადების ვადაგასული რეგისტრაციისას კომისიის სხდომაზე მიიწვევიან ამ ბავშვთა მშობლები, მშვილებლები, მეურვეები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოთა წარმომადგენლები, დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებათა წარმომადგენლები და სხვა პირები, რომელთა აღსაზრდელად იმყოფება ბავშვი.

4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელიც დგება ორ ცალად.

ოქმში აღინიშნება:

— მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; მუშაობის (სწავლის) ადგილი.

არასრულწლოვანთა ასაკის დადგენის შემთხვევაში აღინიშნება მშობელთა, მშვილებელთა, მეურვეთა, მზრუნველთა, სხვა პირთა (რომელთა აღსაზრდელად იმყოფება ბავშვი) გვარი, სახელი, მამის სახელი. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულების დასახელება, აგრეთვე არასრულწლოვანის გვარი, სახელი, მამის სახელი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი;

— რა დოკუმენტები განიხილა კომისიამ (დოკუმენტები ჩამოითვლება);

— განმცხადებლის მიერ აღნიშნული დაბადების წელი;

— სამედიცინო შემოწმების შედეგები;

— რა მონაცემების საფუძველზე დადგინდა განმცხადებლის ასაკი;

— კომისიის გადაწყვეტილება განმცხადებლის ასაკის შესახებ.

თუ კომისია ვერ პოულობს საფუძველს განმცხადებლის მიერ აღნიშნული ასაკის დასადგენად, კომისიის სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს განმცხადებლის შუამდგომლობის უარყოფის საფუძვლები და ჩამოითვალოს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ კომისიის მიერ დადგენილ განმცხადებლის დაბადების წელს.

ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, და იგი მოწმდება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭდით.

კომისიის გადაწყვეტილება განმცხადებლის ასაკის შესახებ მიიღება ხმის უმრავლესობით.

5. ოქმის პირველი ცალი მმაჩის ორგანოდან შემოსულ ყველა მასალასთან ერთად არა უგვიანეს 5 დღის ვადაში ეგზავნება მმაჩის განყოფილებას (ბიუროს), რომელიც გააცნობს მათ განმცხადებელს.

კომისიის სხდომის ოქმის მეორე ცალი ინახება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

6. პირს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გადაწყვეტილების გაცნობიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც განიხილავს საჩივარს და ამავე დროს ამტკიცებს მმაჩის განყოფილების (ბიუროს) დასკვნას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერის აღდგენის შესახებ ან აღნიშნული ჩანაწერის აღდგენაზე უარის შესახებ.

7. საკითხის რაც შეიძლება სრულად და ყოველმხრივ განხილვის მიზნით მოქალაქეთა ასაკის დამდგენ კომისიას უფლება აქვს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოსთხოვოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, აგრეთვე მოქალაქეებს საჭირო დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მოქალაქის ასაკს;

— მოისმინოს კომისიის სხდომებზე განმცხადებელთა ახსნა-განმარტებანი;

— მიიწვიოს სხდომებში მონაწილეობისათვის დაინტერესებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები;

— საჭირო შემთხვევებში გაუგზავნოს მასალა დამატებითი შემოწმებისათვის შინაგან საქმეთა და მმაჩის ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საარქივო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს საქართველოს სახელმწიფო არქივებმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს დოკუმენტების დაკომპლექტების, დაცვისა და გამოყენების დარგში. 1970-1975 წლების მანძილზე სახელმწიფო დაცვისათვის მიღებულია საერთო საქმისწარმოების 1 მილიონზე მეტი საქმე და 100 ათასამდე კინოფოტოფონოდოკუმენტი, ცენტრალიზებული დაცვისათვის მიღებულია პირადი შემადგენლობის 1 მილიონზე მეტი საქმე, გაუმჯობესდა საუწყებო არქივების საქმიანობისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობა და კონტროლი, სრულყოფილი ხდება სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, გაიზარდა სახელმწიფო არქივების სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მნიშვნელობა, გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდიკური მუშაობა. გამოიცა დოკუმენტების კრებულები და არქივების მეგზურები 229 ნაბეჭდი თაბახის საერთო მოცულობით და 20 ტომი პერიოდული გამოცემანი 235 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. განმტკიცდა არქივების კავშირურთიერთობა სამეცნიერო და იდეოლოგიურ დაწესებულებებთან, ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან, რესპუბლიკის ინტელიგენციის ფართო ფენებთან. კიდევ უფრო განვითარდა სახელმწიფო საარქივო დაწესებულებათა ქსელი.

ამასთანავე საარქივო საქმის დონე რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს. მოუწესრიგებელია საარქივო დოკუმენტები რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებში, უწყებებსა და დაწესებულებებში. დღემდე არ არის მოყვანილი წესრიგში კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის, სახელმწიფო წიგნის პალატის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, გამომცემლობების, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების და ზოგიერთი სხვა დაწესებულების დოკუმენტები — სულ 200 ათასზე მეტი საქმე.

მთელ რიგ სამინისტროებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საუწყებო არქივები, ხშირია დოკუმენტური მასალების გაფუჭება-განადგურების შემთხვევები. შესაბამისი სადგომებისა და სპეციალურად გამოყოფილი საშტატო ერთეულების უქონლობის გამო უზრუნველყოფილი არ არის დოკუმენტების ჯეროვანი დაცვა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროში, ცეკავშირში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს სსრ სახმშენში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის მთელ რიგ დაწესებულებებში, სამრეწველო ტრესტებსა და საწარმოო გაერთიანებებში.

სამინისტროები და უწყებები ნელი ტემპით ეწევიან მუშაობას სამინისტროთა და უწყებათა არქივების ცენტრალურ არქივებად გარდაქმნისათვის, რომელთაც დაეკისრებათ შინასაუწყებო კონტროლის ფუნქციები. შემუშავებული არ არის საქმეთა ნომენკლატურები, საქმისწარმოების ინსტრუქციები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, დანერგილი არ არის დოკუმენტებზე მუშაობის ელემენტარული მექანიზაცია, დაბალია საქმისწარმოების ქვედანაყოფების მუშაკთა სამსახურებრივი კვალიფიკაციის დონე.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება რესპუბლიკის მთავრობის 1970 წლის 26 თებერვლის № 88 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის დარგში. ამის შედეგად აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს, საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ახალქალაქის ფილიალს, მისი ტყიბულის საქალაქო განყოფილებას, აბაშის, ახმეტის, გარდაბნის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მესტიის, საგარეჯოს, ორჯონიკიძის, ცაგერის, წითელწყაროს, ჩხოროწყუს რაიონულ განყოფილებებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირეული გაუმჯობესება ესაჭიროებათ.

ფილიალების, საქალაქო და რაიონული განყოფილებების ბევრი შენობა აღჭურვილი არ არის სახანძრო დაცვის სიგნალიზაციით. არქივების ნაწილი დღემდე განლაგებულია ისეთ სადგომებში, რომლებიც დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მაგალითად, თითქმის მთლიანად დაიწვა არქივი საჩხერეში, ხანძრის შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ქუთაისსა და ყაზბეგში, დაინგრა არქივის შენობა ბოგდანოვკაში.

დაუშვებლად ჭიანურდება ცენტრალური სახელმწიფო არქივების საცავების უზრუნველყოფა კონდიციური ჰაერით. არ შესრულებულა არქივსაცავების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. მეტად ნელა მიმდინარეობს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის შენობის აგება. სუსტია არქივების უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნიკით.

მიკროფილმირების, გასამრავლებელი და სარესტავრაციო ტექნიკის უქონლობა მთავარი დაბრკოლებაა რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-საინფორმაციო საქმიანობის თანამედროვე დონის უზრუნველყოფაში, ხოლო რესპუბლიკური სარესტავრაციო და კინოლაბორატორიების არასაკმარისი ტექნიკური აღჭურვილობა აფერხებს მუშაობას უნიკალური დოკუმენტების აღსადგენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საარქივო დაწესებულებანი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრობლემატიკისა და კოორდინაციის საკითხებს, ჩვენი ქვეყნის ბევრ სახელმწიფო არქივში და საზღვარგარეთ დაცული საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტების გამოვლენასა და არქივების შევსებას აღნიშნული დოკუმენტებით.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი არ იჩენს საკმაოდ დაინტერესებას, რათა დააკმაყოფილოს რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა საჭიროებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ ყურადღება რესპუბლიკაში საარქივო მშენებლობის საკითხებისადმი, გაუწიონ საარქივო დაწესებულებებს მუდმივი და ქმედითი დახმარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სახელმწიფო არქივების ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესების, დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარების, ინფორმაციისა და დოკუმენტების გამოყენების საერთო დონის ამაღლების, სახელმწიფო საარქივო ფონდის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტაში.

2. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა:

— დაამყარონ 1978 წლის ბოლომდე სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი საარქივო საქმეში, ხოლო ადგილებზე შენახვის ვადაგასული მასალები გადასცენ სახელმწიფო არქივებს დადგენილი წესით;

— გარდაქმნან 1976-1980 წლებში რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა არქივები ცენტრალურ არქივებად, რომლებსაც დაეკისრებათ სისტემის დაწესებულებათა და საწარმოთა არქივების მდგომარეობისადმი შინასაუწყებო კონტროლის ორგანიზაცია, და უზრუნველყონ ისინი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს რეკომენდაციების მიხედვით შესაბამისი შტატებით, სადგომებით, საჭირო მოწყობილობით არსებული შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— სახელმწიფო საქმისწარმოების სრულყოფის მიზნით უზრუნველყონ საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემის ძირითად დებულებათა დანერგვა მუშაობის პრაქტიკაში, შეიმუშაონ საუწყებო ინსტრუქციები და საქმეთა ნომენკლატურები, ამასთან შეუთანხმონ ისინი რესპუბლიკის საარქივო ორგანოებს, აამაღლონ დოკუმენტებზე მუშაობის მექანიზაციის დონე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს:

— შეიმუშაოს აუცილებელი ღონისძიებანი რესპუბლიკაში საარქივო საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ყველა მიმართულებით და ყველა რგოლში, სრულყოს მუშაობის სტილი და მეთოდები, უზრუნველყოს სახელმწიფო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის დისციპლინის განმტკიცება, კადრების შერჩევისა და განაწილების მუდმივი გაუმჯობესება, მიაღწიოს შრომითი მაჩვენებლების ამაღლებას სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე;

— გაითვალისწინოს უდიდესი პოტენციური ძალა საარქივო დოკუმენტებისა, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფო მართვისა და სამეურნეო მშენებლობის გამოცდილებას, შესწევთ უნარი დააჩქარონ საზოგადოების განვითარება როგორც ეკონომიკური, ისევე პოლიტიკური თვალსაზრისით, და რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა უმნიშვნელოვანეს ამოცანებად მიიჩნიოს სამეცნიერო-კვლევით, შემოქმედებით და კულტურის დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტით მუშაობის იდეური და მეცნიერული დონის ამაღლება, ინფორმაციის საშუალებათა ყოველმხრივი სრულყოფა, მუშაობის გაძლიერება პოლიტიკური, სახალხო-სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისათვის დოკუმენტების გამოსაყენებლად, საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალების პუბლიკაციის გაფართოება, რისთვისაც გამოიყენოს ყველა საშუალება და შესაძლებლობა, ამ მუშაობაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეცნიერთა და ცოდნის ყველა დარგის სპეციალისტთა კადრების ჩაბმით; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოება იმ ვარაუდით, რომ უფრო სრულად იქნეს შესწავლილი და გამოყენებული წარსულის გამოცდილება, ხალხის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ინტერესებისათვის;

— სახელმწიფო არქივების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის პროპაგანდის გაუმჯობესების მიზნით უახლოეს წლებში მოამზადოს და გამოსცეს ცნობარი „საქართველოს არქივები“ და საქართველოს სსრ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიასთან ერთად შექმნას ფილმი საქართველოს არქივების შესახებ;

— გააძლიეროს კონტროლი საარქივო საქმის დაყენებისა და საქმისწარმოების სამსახურისადმი სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გაუწიოს მათ ქმედითი მეთოდური და პრაქტიკული დახმარება დოკუმენტური მასალების დაცვის, მოწესრიგებისა და გამოყენების ორგანიზაციაში, შექმნას არქივებისა და საქმისწარმოების ქვედანაყოფების მუშაკთა საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი სემინარები; ჩაატაროს 1976-1980 წლებში საქმისწარმოების დაყენებისა და საუწყებო არქივების მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერებანი რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყებაში;

— სისტემატურად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაციები სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ დოკუმენტების დაცვის პირობების დარღვევისა და მათი დროული სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისა და დასაცავად ჩაბარებისათვის ზომების მიუღებლობის შესახებ;

— გადაწყვიტოს 1976-1977 წლებში საკითხი ქ. თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში რევოლუციამდელი საქართველოს დოკუმენტების დასაცავად ერთიანი კომპლექსის აღდგენის საკითხი;

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— სსრ კავშირის სახელმწიფო არქივებში დაცული საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტების გამოვლენისა და პირების გადაღების მიზნით ნება დაერთოს საჭიროების შემთხვევაში გაგზავნოს ხანგრძლივი მივლინებით რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების მეცნიერი მუშაკები მოსკოვში, ლენინგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით;

— გააქტიუროს მუშაობა დოკუმენტური მასალების, უწინარეს ყოვლისა უნიკალური და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მასალების დაცვის უზრუნველსაყოფად, დააჩქაროს დოკუმენტების გამქრალი ტექსტების აღდგენის ხერხების გამონახვა; მიიღოს ზომები უახლესი ტექნიკით, დოკუმენტების გადასაღები და გასამრავლებელი თანამედროვე საშუალებებით სახელმწიფო არქივების აღჭურვისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობამ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ გააძლიერონ მუშაობა საქმისწარმოების ერთიანი სახელმწიფო სისტემის და საორგანიზაციო-საგანმკარგულებლო დოკუმენტაციის სახელმწიფო სტანდარტების დანერგვისათვის.

5. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა 1977 წლის იანვრიდან უზრუნველყონ გამოქვეყნებული ფოტომასალების ნეგატივების რეგულარული ჩაბარება საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

6. საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითმა, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა და საწარმოებმა 1977-1978 წლებში უზრუნველყონ 1964 წლამდე შექმნილი დოკუმენტაციის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და სახელმწიფო დაცვისათვის გადაცემა.

7. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ უახლოეს ხანში უზრუნველყოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივების ფილიალების მომსახურება მცირეგაბარიტიანი სატვირთო ავტოტრანსპორტით.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს, მოყოლებული 1978 წლიდან, ბიუჯეტის პროექტებში ასიგნებათა გადიდება სარესტავრაციო სამსახურის გასაფართოებლად, ბეჭდვითი გამოცემების ქაღალდით მოსამარაგებლად, აგრეთვე სახელმწიფო არქივების, მათი ფილიალების, საქალაქო და რიონული განყოფილებების შენობების სახანძრო დაცვის შეთავსებული სიგნალიზაციით მოსაწყობად.

9. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყოს რესპუბლიკის არქივების შენობათა აგება და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემა დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

10. საქართველოს სსრ მთავარმომარაგებამ გამოუყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს დაბალვოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიანი აპარატურა, თბოენერგეტიკული და ოპტიკურ-მექანიკური ხელსაწყოები და ქიმიკატები საქართველოს სსრ მთავარმომარაგებასთან შეთანხმებული შეკვეთის სპეციფიკაციის მიხედვით.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გაუწიონ საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივს დახმარება თანამედროვე ტექნიკით კინო და ფოტოლაბორატორიების აღჭურვაში, აგრეთვე ამ ტექნიკის ექსპლუატაციაში.

12. შეიქმნას კომისია ამხ. ვ. ი. კაჭარავას თავმჯდომარეობით, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 26 თებერვლის № 88 დადგენილების საფუძველზე შეარჩევს და მოამზადებს სახელმწიფო არქივში გადასაცემად მუდმივი შენახვისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პროფილურ პირად ფონდებს და პროფილურ დოკუმენტურ მასალებს რესპუბლიკის მუზეუმებიდან და ბიბლიოთეკების ხელნაწერთა განყოფილებებიდან.

13. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო გეგმებში 1976/77 სასწავლო წლიდან შეტანილ იქნეს არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის კურსი, და წარმოუდგინოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— „სახალხო მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 515 დადგენილების შესაბამისად გაითვალისწინოს, მოყოლებული 1976/77 სასწავლო წლიდან, საქმისწარმოების სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტზე.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს გამოცემა 30 ნაბეჭდი თაბახის მოცულობის პერიოდული კრებულისა „საისტორიო მოამბის“ 500 ეგზემპლარი ტირაჟით და 8 ნაბეჭდი თაბახის მოცულობის ჟურნალისა „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“ 300 ეგზემპლარი ტირაჟით, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს თემატიკური კრებულებისა და სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოებისა.

15. დაევალოთ ქალაქ ტყიბულის, ახალქალაქის, ახმეტის, გარდაბნის, ლანჩხუთის, ლენტეხის, საგარეჯოს, ცაგერის, წითელწყაროსა და ჩხოროწყუს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ 1976 წლის ბოლომდე სახელმწიფო არქივები დოკუმენტების დასაცავად, პერსონალის სამუშაოდ და მომსვლელთა მისაღებად გამოსადეგი შენობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა გამოთავისუფლოს 1976 წლის 1 ოქტომბრამდე რაიონული არქივის სპეციალური შენობა, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ ააშენა 1949 წელს.

მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს 1976 წლის მესამე კვარტალში, ხოლო ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა — 1976 წლის განმავლობაში რაიონული არქივების შენობების გაფართოება.

აბაშის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყოს 1976 წლის ბოლომდე რაიონული არქივის საცავის ხის ნაწილის რეკონსტრუქცია.

16. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა განიხილონ და გადაწყვიტონ 1976-1977 წლებში საკითხი ცენტრალური სახელმწიფო არქივების შენობათა გაფართოების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის გამოყოფილი ლიმიტების ხარჯზე და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა უგვიანეს 1976 წლის სექტემბრისა.

17. უცხოეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის საკითხთა კომისიამ განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოსათვის ინგლისის ფირმა „რენკქსეროქს 1000“ ელექტროპირგადასაღები აპარატის შეძენის საკითხი.

18. იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს და გადაღებულ იქნეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და კულტურას განეკუთვნება და უცხოეთის არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინახება, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა წარმოადგინოს წინადადებანი საზღვარგარეთ კომპლექსური ექსპედიციების მოწყობის შესახებ.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მთავარმა საარქივო სამმართველომ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის დეკემბრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 7 ივნისი, № 409

41 სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ 1976 წლის 1 მაისიდან საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მუშაობა მოეწყოს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (109-113 პუნქტების გარდა).

2. დაწესდეს, რომ 1976 წლის 1 მაისიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის შენახვა ხორციელდება საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ იმ სახსრების გადარიცხვის ხარჯზე, რომლებიც წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას მიეკუთვნება.

3. დამტკიცდეს:

— დებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ;

— საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა პრემირების დამატებითი პირობები;

— საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის, მათი მატერიალური დახმარების გაწევისათვის, საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის წახალისების ცენტრალიზებული ფონდებიდან ანარიცხების ნორმატივები, აგრეთვე საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 9 ივნისი, № 412

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 9 ივნისის № 412
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ

დებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ შემუშავებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1974 წლის 13 მარტს დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების მმართველობის მუშაკთა პრემირების წესის ტიპობრივი დებულების შესაბამისად.

დებულება პრემირების შესახებ შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, სახალხო მოხმარების საქონელზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ეკონომიით.

1. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს პრემიები მიეცემათ სამინისტროს მიერ პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების კვარტალური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და წარმოებაში დანერგვის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, აგრეთვე სარეალიზაციო პროდუქციის საერთო მოცულობაში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონისა და სახალხო-სამეურნეო გეგმის პროდუქციის (პირველი კატეგორიის ხორცი და სუბპროდუქტები, ძეხვეული, მოუხდელი რძის პროდუქცია, კარაქი, ნატურალური ყველი) ნომენკლატურის დავალებათა შესრულებისათვის.

რომელიმე ამ მაჩვენებლის მიხედვით გეგმის შეუსრულებლობისას პრემია არ გაიცემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვიტოს საანგარიშო კვარტალში სახალხო-სამეურნეო გეგმის ნომენკლატურის პროდუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ სახეობათა მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტროს მუშაკთა პრემირების საკითხი, თუ ამ სახეობათა ნომენკლატურის პროდუქცია დამზადებული და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მოხსნილია წარმოებიდან მომხმარებლის (ძეძკვეთის) მოთხოვნით, რაც დადასტურებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

2. ამ დებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პრემირების პირობების გარდა, სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკებისათვის წესდება პრემირების დამატებითი პირობები.

პრემირების დამატებითი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტროს მუშაკებს პრემიები უმცირდებათ ამ პირობების შესრულების შესაბამისად.

სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება დადებული ხელშეკრულებებისა და საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად გათვალისწინებული ოდენობით, ვადებში და ნომენკლატურით (ასორტიმენტით) პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება. პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას სამინისტროს აპარატის მუშაკებს პრემიები უმცირდებათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

3. სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირება ხდება სამინისტროს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდის ხარჯზე, რომელიც იქმნება სამინისტროს მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში. აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გამოსაყოფი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის სახსრების ნორმატივების განსაზღვრისას ამ ნორმატივების დამტკიცების პირველ წელს მიიღება სახსრები სამინისტროს მუშაკთა ხელფასის ფონდის 15 პროცენტის ოდენობით მათი თანამდებობრივი სარგოების მიხედვით.

4. თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, სამინისტროს აპარატის მუშაკთათვის დარიცხული პრემიების თანხა (სარგოს პროცენტულად) მცირდება 1 პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით საშუალო ხელფასის ზრდის ყოველ პროცენტში.

5. პრემირების პირობებით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სამინისტროს მუშაკებს პრემიების ოდენობა, ამ დებულების თანახმად, უწესდებათ ყოველწლიურად იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მოცემულ წელს.

ამასთან პრემიების ოდენობას სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით. ამ მუშაკთა პრემიების ოდენობა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღემატებოდეს პრემიების საშუალო ოდენობას სამინისტროს აპარატის მიხედვით (მათი თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად).

სამინისტროს აპარატის დანარჩენ მუშაკთა პრემიების ოდენობას ამტკიცებს მინისტრი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

სამინისტროს მუშაკთა პრემიების ოდენობის დამტკიცებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამინისტროს მიხედვით საგეგმო დავალებათა დაძაბულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოო სიმძლავრეების, ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის გამოყენების დონე.

6. კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთათვის დარიცხული პრემიები მცირდება 0,5 პროცენტით ყოველი საქვეუწყებო საწარმოსათვის, რომელსაც არ შეუსრულებია ძირითადი დაწესებული საგეგმო დავალებანი (პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა, მოგებისა, შრომის ნაყოფიერებისა).

ასეთივე წესით მინისტრს შეუძლია შეუმციროს პრემიები სამინისტროს აპარატის შესაბამის მუშაკებს, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საწარმოების მიერ მათთვის დაწესებული საგეგმო დავალებების შესრულებისათვის.

7. მთლიანად სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე განყოფილებათა ხელმძღვანელებისა და ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები არ გაიცემა. ამასთან სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება როგორც ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის მიხედვით ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის თანხა.

თუ სამინისტროს ხაზით დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა ანაზღაურდება 6 თვემდე ვადაში, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ 50 პროცენტი პრემიისა, რომელიც მათ დაერიცხათ, მაგრამ არ მიუღიათ ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როცა საანგარიშო პერიოდში სამინისტრომ დაუშვა ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დაწყებიდან გასულ პერიოდში დაზოგილი აქვს საკმარისი თანხები ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასათარავად, სამინისტროს აღნიშნულ მუშაკებს დარიცხული პრემიები მიეცემათ სრული ოდენობით.

8. სამინისტროს მუშაკთა პრემირება ხდება ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი გაიცემა სრული ოდენობით სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება ამ დებულებით გათვალისწინებული პრემირების პირობები.

9. მინისტრს შეუძლია პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით მუშაობის ხარისხისა და მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით გაადიდოს ან შეამციროს მისთვის დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა. მუშაობაში სერიოზული ხარვეზებისათვის მუშაკს შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანად ჩამოერთვას პრემია, რაც ფორმდება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით.

სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის პრემიის ოდენობის ასეთივე გადიდება (შემცირება) ან პრემიის ჩამორთმევა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

10. ამ დებულების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

11. პრემიებს ამტკიცებენ:

— სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

— სამინისტროს აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

12. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული კვარტალი საბჭოთა არმიაში გაწვევასთან, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში მოწყობასთან, პენსიაში გასვლასთან, შტატების შემცირების ან სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემია დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

13. პრემირების პირობებით გათვალისწინებულ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ამ დებულების შესაბამისად გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

14. სამინისტროს აპარატის მუშაკებს პრემიები ერიცხებათ საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 9 ივნისის № 412
დადგენილებით

პრემირების დამატებითი პირობები, რომელთა დაუცველობისას საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს უმცირდებათ პრემიების ოდენობა

1. გაანგარიშებითი რენტაბელობის გეგმის შესრულება.

2. კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობისაგან პირუტყვისა და რძის შესყიდვის გეგმის შესრულება.

3. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულება და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება დაწესებულ ვადებში.

4. საქვეუწყებო საწარმოთა ჯეროვანი სანიტარიულ-ვეტერინარული მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 9 ივნისის № 412
დადგენილებით

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირებისათვის, მათი მატერიალური დახმარების გაწევისათვის, საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის წახალისების ცენტრალიზებული ფონდებიდან ანარიცხების ნორმატივები

1. პრემირებისა და მეტერიალური დახმარების გაწევისათვის	— საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მატერიალური წახალისების ფონდის 2,07 პროცენტი;
2. საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის	— საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდის 43,5 პროცენტი.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთა პრემიების ოდენობა

1. დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით კვარტალური გეგმის შესრულებისათვის	— თანამდებობრივი სარგოს 15 პროცენტი
2. დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით კვარტალური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პუნქტში:	
ა) სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობისა	— თანამდებობრივი სარგოს 0,5 პროცენტი;
ბ) შრომის ნაყოფიერების ზრდისა	— თანამდებობრივი სარგოს 0,2 პროცენტი;
გ) მოგებისა	— თანამდებობრივი სარგოს 0,5 პროცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

42 სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილის განსაზღვრის წესის შესახებ

„სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ:

ა) იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ხოლო „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება არა აქვს შეასრულოს იგი, სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილს განსაზღვრავს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო;

ბ) იმ შემთხვევებში, როდესაც სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, „სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად უფლება არა აქვს შეასრულოს იგი, სანოტარო მოქმედებას ასრულებს სახელმწიფო სანოტარო კანტორა, რომელიც ემსახურება შესაბამის დასახლებულ პუნქტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 9 ივნისი, № 415

ეროვნული ბიბლიოთეკა

43 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აგვისტოს № 475 დადგენილების მე-5 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აგვისტოს № 475 დადგენილების მე-5 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აგვისტოს № 475 დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ნება დაერთოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით მოახდინონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის სასწავლო მოწყობილობისა და სასკოლო ინვენტარის შესაძენად, აგრეთვე სასკოლო შენობათა რემონტის ჩასატარებლად მათი ბიუჯეტებით გათვალისწინებული სახსრების ცენტრალიზაცია რაიონის განათლების განყოფილებაში“.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 3 მარტის № 123 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 10 ივნისი, № 416

44 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის შელაქის საცდელი სადგურის გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება და ნება დაერთოს მას გარდაქმნას საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის შელაქის საცდელი სადგური აფხაზეთის მცენარეთა დაცვის საცდელ სადგურად.

2. დაეკისროს აფხაზეთის მცენარეთა დაცვის საცდელ სადგურს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა დაავადებების, მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის ცრუფარიანას კვლევით სამუშაოთა განგრძობა შეზღუდული მოცულობით და მისი შთამომავლობის მომდევნო თაობათა შენარჩუნება.

3. გარდაქმნა მოხდეს აღნიშნული საცდელი სადგურისათვის დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა შეუცვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 16 ივნისი, № 430

45 საქართველოს სსრ შიდა წყალსატევებში და შავი ზღვის სანაპირო ზონაში მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მრეწველობის მიერ მოსახლეობისათვის მისაყიდად გამოშვებული კატარღების, ნავებისა და მათი ძრავების, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ დამზადებული მცურავი საშუალებების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, დიდდება მათი ძრავების სიმძლავრე. იზრდება მცირე ზომის გემების მოძრაობის ინტენსივობა შიდა წყალსატევებში და შავი ზღვის სანაპირო ზონაში, აგრეთვე იზრდება ნავმისადგომებისა და მცურავი საშუალებების სადგომი ბაზების რაოდენობა.

ამავე დროს ადგილი აქვს მცირე ზომის გემების არასწორი გამოყენებისა და ექსპლუატაციის, მათი შესანახი პუნქტების უწესრიგოდ განლაგების შემთხვევებს, შემუშავებული არ არის ამ გემების გამოყენებისადმი ზედამხედველობის განხორციელების ერთიანი სისტემა, რაც იწვევს ავარიებს, უარყოფითად მოქმედებს წყლის გარემოზე, ნაპირების მდგომარეობაზე, თევზის მარაგის კვლავწარმოებაზე, ხშირად საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს.

რესპუბლიკაში მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოებისადმი კონტროლი ეკისრება საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს. მაგრამ ამ ორგანიზაციას მინიჭებული არა აქვს ადმინისტრაციული უფლებები, რაც საშუალებას არ აძლევს სრულად უზრუნველყოს ზედამხედველობა მცირე ზომის გემების სწორად გამოყენების და უსაფრთხო ტექნიკური ექსპლუატაციისადმი, მიიღოს ქმედითი ზომები დამრღვევთა მიმართ.

მოქალაქეთა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციისადმი კონტროლის გაძლიერების, მათი ცურვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ამ გემების არასწორი ექსპლუატაციით წყალზე უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, შიდა წყალსატევებში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვის სანაპირო ზონაში თევზის მარაგისა და გარემოს დაცვის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე მცირე ზომის ფლოტის მქონე სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები მცირე ზომის გემების სწორი გამოყენებისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, ამ გემებიდან წყლის გარემოს გაჭუჭყიანებისა და თევზჭერის წესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მათი სადგომი ბაზების განლაგების მოსაწესრიგებლად, ამ ბაზების მშენებლობისა და მექანიზაციის უზრუნველსაყოფად, ამასთან შეიტანონ ისინი ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და დაბების საბინაო-კომუნალურ კომპლექსებში ქალაქთმშენებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. შეიქმნას დამოუკიდებელ ბალანსზე საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან მცირე ზომის ფლოტის სამეურნეოანგარიშიანი სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გამოყონ აღნიშნული ინსპექციისათვის საჭირო ხელფასის ფონდის ლიმიტი და ზღვრული ასიგნებანი.

3. დაწესდეს, რომ საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან არსებული სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია ახორციელებს საქართველოს სსრ შიდა წყალსატევებში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო ზონაში საქართველოს სსრ ფარგლებში კონტროლს მოქალაქეთა, კოლმეურნეობათა (გარდა მეთევზეთა კოლმეურნეობებისა), საწარმოთა და ორგანიზაციათა კუთვნილი მცირე ზომის გემების (სსრ კავშირის რეგისტრის არასაზედამხედველო) სწორი გამოყენებისა და ექსპლუატაციისადმი, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, კვლავწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს საწარმოთა და ორგანიზაციათა გემების გარდა.

4. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან არსებული მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 19 ივნისი, № 438

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 19 ივნისის № 438
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან არსებული მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის შესახებ

1. საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან არსებული მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია მოწოდებულია განახორციელოს შიდა წყალსატევებში და შავი ზღვის სანაპირო ზონაში საქართველოს სსრ ფარგლებში კომპლექსური ზედამხედველობა და კონტროლი მცირე ზომის გემების და მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების) სწორი გამოყენებისა და ექსპლუატაციისადმი, რაც უზრუნველყოფს მცირე ზომის გემების ცურვის უსაფრთხოებას, ბუნების, წყლის გარემოსა და თევზის მარაგის დაცვას, ქალაქთმშენებლობის მოთხოვნების შესრულებას და ცურვის უსაფრთხოებას, თევზსამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების, მეთევზეთა კოლმეურნეობების, საზღვაო ფლოტის სამინისტროს ორგანიზაციებისა და თევზდაცვის ორგანოების კუთვნილი მცირე ზომის გემებისა და ბაზების (ნაგებობების) გარდა.

2. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ამ დებულებით და საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ნორმატიული დოკუმენტებით.

3. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია თავის მოვალეობებს ასრულებს საზღვაო ფლოტის ინსპექციებთან, თევზდაცვისა და მილიციის ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით, მუდმივი კავშირი აქვს მშრომელთა ფართო მასებთან, ემყარება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დახმარებას.

4. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია არის იურიდიული პირი და მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე.

5. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის ადგილსამყოფელი ქ. თბილისშია.

6. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ ინსპექციას ეკისრება შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

— განახორციელოს კონტროლი მცირე ზომის გემების ცურვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი;

— განახორციელოს პროფილაქტიკური მუშაობა მცირე ზომის გემების უავარიო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად;

— მიიღოს ზომები ცურვის უსაფრთხოების წესების დარღვევათა აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად;

— განახორციელოს მცირე ზომის გემების, მათი სადგომებისა და ბაზების (ნაგებობების) რეგისტრაცია და ტექნიკური შემოწმება, გემის წამყვანთა ატესტაცია, მისცეს მათ ამ გემების მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობები;

— განახორციელოს კონტროლი მცირე ზომის გემებისა და მათი სადგომი ბაზების საჭირო წყალდაცვითი მოწყობილობით აღჭურვისადმი ზედაპირული წყლების, მათ შორის შიდა წყალსატევებისა და შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზონის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების დადგენილი წესების შესაბამისად;

— შეიმუშაოს წესები და დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ მცირე ზომის გემების გამოყენების, რეგისტრაციისა და ტექნიკური შემოწმების წესს, შეამოწმოს გემის წამყვანთა ცოდნა და ჩაატაროს მათი ატესტაცია.

ზღვის აკვატორიებში მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციის განმსაზღვრელი წესები და სხვა დებულებები შემუშავდება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სამმართველოსთან შეთანხმებით;

— განიხილოს და შეათანხმოს ახლად მშენებარე მცირე ზომის გემების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია.

7. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ ინსპექციას აქვს შემდეგი ძირითადი უფლებები:

ა) მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეთანხმებით დააწესოს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მცირე ზომის გემებისა და მათი სადგომი ბაზების გამოყენების დამატებითი შეზღუდვები, მათ შორის მცირე ზომის გემების მოტორების სიმძლავრისა და მათი მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვები;

ბ) აკრძალოს იმ მცირე ზომის გემების, მათი სადგომი ბაზებისა და ნავმისადგომების გამოყენება, რომელთა მდგომარეობა საფრთხეს უქმნის უსაშიშრო ექსპლუატაციას, ბუნებისა და წყლის გარემოს დაცვას, ზღვაოსნობის უსაშიშროებას, აგრეთვე შეამოწმოს საჭირო შემთხვევებში მცირე ზომის გემების წამყვანთა მიერ ამ გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესების ცოდნა.

8. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ ინსპექტორებს აქვთ შემდეგი ძირითადი უფლებები:

ა) გააჩერონ საჭიროების შემთხვევაში მცირე ზომის გემები, მოსთხოვონ მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესების, აგრეთვე ნაოსნობის უსაფრთხოების წესების დამრღვევ პირებს შეწყვიტონ ამ წესების დარღვევა;

ბ) ჩამოაშორონ მცირე ზომის გემების მართვას არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომელთაც არა აქვთ გემების მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობები ან უხეშად დაარღვიეს მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ტექნიკური ექსპლუატაციის წესები, აკრძალონ საჭიროების კვალობაზე მცირე ზომის გემების ექსპლუატაცია და გადასცენ ეს გემები და მოტორები შენახვისა და ტექნიკური მომსახურებისათვის გემთმფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელთა ხარჯზე, მანამ არ გადაწყდება საკითხი დამრღვევის ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ;

გ) დააკავონ საჭიროების შემთხვევაში პირები, რომელთაც უხეშად დაარღვიეს მცირე ზომის გემების გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესები, შეადგინონ ოქმები (აქტები) დარღვევათა შესახებ.

თუ დამრღვევის ვინაობის დადგენა დარღვევის ადგილზე შეუძლებელია, მცირე ზომის ფლოტის ინსპექტორს დამრღვევი მიჰყავს მისი ვინაობის გასარკვევად მშრომელთა დეპუტატების უახლოეს საბჭოში ან მილიციის განყოფილებაში.

9. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექცია შეიმუშავებს ტარიფებს სამუშაოთა შესასრულებლად იმ ვარაუდით, რომ შემდგომ ისინი დამტკიცდეს დადგენილი წესით.

10. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ ინსპექციას სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს წყალში მაშველი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

11. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს ინსპექციის და მისი ინსპექტორთა შემადგენლობის საქმიანობას მთელ რესპუბლიკაში;

ბ) დააწესებს საპროექტო-სახარჯო ნუსხებს, საკონტროლო დავალებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინსპექციის საქმიანობას დაგეგმილი წლისათვის, კვარტალისათვის, დაამტკიცებს ინსპექტორთა ანგარიშებს ამ დავალებათა შესრულების შესახებ და კონტროლს გაუწევს მათს მუშაობას;

გ) შეასრულებს კანონით დაშვებულ ოპერაციებს და სხვა იურიდიულ მოქმედებას, რაც დაკავშირებულია მცირე ზომის ფლოტის ინსპექციის საქმიანობასთან, მათ შორის დადებს ხელშეკრულებებს, განახორციელებს საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციებს დაწესებულებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, იურიდიულ პირებთან, გახსნის ანგარიშებს და განაგებს მათ, გასცემს მინდობილობებს, წარადგენს სარჩელებს და პასუხს გასცემს სასამართლოსა და არბიტრაჟში;

დ) ხელს მოაწერს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, აქტებს, მინდობილობებს, ვალდებულებებს, საანგარიშსწორებო და ფულად დოკუმენტებს, მათ შორის ჩეკებს, საგადამხდელო დავალებებს, მოთხოვნებს და სხვა ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტებს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ოპერაციების მიხედვით.

12. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ ინსპექციას აქვს საწესდებო ფონდი.

13. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის შემოსავალს შეადგენს შენატანები, რომლებიც დაკავშირებულია მისი საქმიანობის განხორციელებასთან შემდეგ დარგებში:

— მცურავი საშუალებების, მათი სადგომი ბაზების (ნაგებობების), ნავმისადგომების ვარგისიანობისა და ექსპლუატაციის პირველადი და ყოველწლიური ტექნიკური შემოწმება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მცირე ზომის გემების მართვის უფლების მოსაპოვებლად გემის წამყვანთა ცოდნის შემოწმება და გამოცდების მიღება;

— ორგანიზაციებში გემის წამყვანთა სწავლებისადმი საკონტროლო-მეთოდიკური ზედამხედველობის განხორციელება;

— გემის წამყვანთა მომზადება ინსპექციების სასწავლო-საკურსო ქსელში;

— იმ მცირე ზომის გემებისა და მათი მოტორების შენახვა და ტექნიკური მომსახურება, რომელთა მფლობელებმაც დაუშვეს ცურვის, მცირე ზომის გემების ექსპლუატაციისა და გამოყენების უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევები;

— მცირე ზომის გემებისა და მათი მოტორების ხარისხის გამოცდა და შემოწმება, საკონსულტაციო-საექსპერტო მუშაობა, მცურავი საშუალებების, სანაპირო ნაგებობების, საკომპლექტებელი მოწყობილობისა და მათი საშუალებების საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შეთანხმება;

— ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და დამხმარე საშუალებების გავრცელება.

14. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის საშტატო რიცხოვნობა და ხელფასის ფონდი მტკიცდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

15. ადგილობრივ ინსპექტორთა საშტატო რიცხოვნობასა და ხელფასის ფონდს განსაზღვრავს მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის უფროსი ამ ინსპექციისათვის დამტკიცებული რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

16. მცირე ზომის გემების სწორი გამოყენებისა და ტექნიკური ექსპლუატაციისადმი, აგრეთვე მათი ექსპლუატაციის უსაფრთხოებისადმი ზედამხედველობის დარგში ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრისათვის წინადადებათა და რეკომენდაციათა განსახილველად მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ ინსპექციაში იქმნება სანავიგაციო-ტექნიკური საბჭო.

სანავიგაციო-ტექნიკური საბჭოს შემადგენელობასა და დებულებას დაამტკიცებს მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის უფროსი.

17. საინსპექციო გემების ალმებზე, სანავიგაციო-ტექნიკური ინსპექციის მუშაკთა ფორმის ტანსაცმლის ტარებისათვის, ბეჭდებისათვის მცირე ზომის ფლოტის ინსპექციას ეძლევა ემბლემა ვერტიკალური საადმირალო ღუზის კონტურის სახით, რომელზეც გამოსახულია სამფრთიანი ხრახნი.

18. მცირე ზომის ფლოტის სანავიგაციო-ტექნიკურ ინსპექციას აქვს უბრალო მრგვალი ბეჭედი, რომლის ცენტრში გამოსახულია ემბლემა და გარშემო წარწერილია მისი დასახელება.

I————————I

46 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა გაწეული სახალხო მეურნეობაში გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებისათვის.

მეცხრე ხუთწლედის პერიოდში ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების რესპუბლიკური პარკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამჟამად 112 ერთეულს აღწევს. რესპუბლიკაში მოქმედებს 24 გამოთვლითი ცენტრი და 45 ორგანიზაცია, რომელთაც აქვთ ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები. ელექტრონულ გამოსათვლელი მანქანების რესპუბლიკური პარკის ტექნიკური დონე საერთო-საკავშირო მაჩვენებლების დონეზეა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ორგანიზებულია ალგორითმებისა და პროგრამების რესპუბლიკური ფონდი, შემუშავებულია გამოსათვლელი ტექნიკის ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, სამეცნიერო დაწესებულებათა, სასწავლებელთა და ცალკეულ საწარმოთა მუშაობის პრაქტიკაში გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებების დანერგვის მასშტაბის ზრდის მეოხებით შესამჩნევად გაფართოვდა გამოსათვლელი ტექნიკის ექსპლუატაციის სპეციალისტთა მომზადება. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 900-ზე მეტმა ხელმძღვანელმა მუშაკმა აიმაღლა კვალიფიკაცია გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების დარგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ რესპუბლიკურ კურსებზე. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან შექმნილია ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების პროგრამისტთა მოსამზადებელი სპეციალური კურსები.

ამასთანავე რესპუბლიკაში გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა ეფექტიანად გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების მოცდენას, ვინაიდან მათი რესპუბლიკური პარკის საშუალო-სადღეღამისო დატვირთვა არ აღემატება 8,4 საათს, მაშინ როცა საერთო-საკავშირო მაჩვენებელი შეადგენს 10,7 საათს და ნორმატივით გათვალისწინებული — 16-17 საათს. ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების საექსპლუატაციოდ გადაცემის დრო მათი მიღების მომენტიდან შეადგენს საშუალოდ 8 თვეს და მეტს, ნაცვლად ნორმატივით დაწესებული 4 თვისა. დიდი დაგვიანებით გადაეცა საექსპლუატაციოდ ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში და „საქნავთობგეოფიზიკის“ ტრესტში. მომზადებული სადგომების უქონლობის გამო დაწესებულ ვადებში ვერ გადაეცა საექსპლუატაციოდ ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში, ცეკავშირში და სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“.

ნაკლოვანებებია ინფორმაციის მატარებლებით, კონდიციონერებით, სხვადასხვა კვანძებითა და მასალებით, საჭირო დამატებითი მოწყობილობით გამოთვლითი ცენტრების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი, როგორც ალგორითმების შეგროვების, აპრობაციისა და რეგისტრაციის მთავარი ორგანიზაცია, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს რესპუბლიკაში მოქმედ გამოთვლის ცენტრებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მაღალ დონეს. არ შესრულებულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალება გამოსათვლელი ტექნიკის ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონის 1973 წელს გამოცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროში, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნორმატიული ინფორმაციის სისტემის სრულყოფასა და პირველადი დოკუმენტაციის უნიფიკაციას გამოსათვლელი ტექნიკის გამოსაყენებლად საჭირო წანამძღვარების შექმნის მიზნით.

რესპუბლიკაში მოქმედ მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში საკმარისად არ იყენებენ გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებებს ტექნოლოგიურ პროცესთა ავტომატიზაციისათვის, თუმცა ყველაზე მაღალი ეფექტიანობა ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების გამოყენების სწორედ ამ სფეროში მიიღწევა.

რესპუბლიკაში არ მიმდინარეობს ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების რესპუბლიკური პარკის მანქანური დროის თავისუფალი ფონდის ცენტრალიზებული განაწილებისათვის სადისპეტჩერო სამსახურის მეცნიერულად დასაბუთებული რაციონალური სისტემის დამუშავება. დროულად არ განხორციელებულა ღონისძიებანი რესპუბლიკაში გამოსათვლელი ტექნიკის ცენტრალიზებული ტექნიკური მომსახურების საწარმოს შესაქმნელად.

მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, გაერთიანებები და სამრეწველო საწარმოები არ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ წესს, რომელიც ითვალისწინებს დიდი და საშუალო ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების შეძენის თაობაზე გადაწყვეტილების წინასწარ შეთანხმებას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან („საქნავთობგეოფიზიკის“ ტრესტი, საწარმოო გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანება „ელექტროაპარატი“, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და სხვ.). ეს, როგორც წესი, ხელს უწყობს კადრების დენადობას და წარმოშობს დამატებითს სიძნელეებს კონდიციონერებით, საკომპლექტებელი ნაკეთობებითა და სხვა საჭირო მასალებით გამოთვლითი ცენტრების მომარაგების საქმეში.

ჯერ კიდევ იგრძნობა პროგრამირებისა და ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა უკმარობა. რესპუბლიკაში ორგანიზებული არ არის გამოსათვლელი ტექნიკის დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სხვა ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე.

პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭო, რაც უარყოფითად მოქმედებს გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობაზე.

ნაკლოვანებებით ხასიათდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მუშაობა სახალხო მეურნეობაში გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა ფართოდ და ეფექტიანად გამოყენების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის, ამ საშუალებათა დანერგვის გეგმების შედგენისა და მათი შესრულებისადმი კონტროლის დარგში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებრების საწარმოებს უზრუნველყონ ქმედითი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა რაც შეიძლება რაციონალური გამოყენებისათვის მთლიანად ადმინისტრაციულ-სამეურნეო და ტექნოლოგიური მართვის კულტურის ხარისხობრივი სრულყოფისა და გამოსათვლელი ტექნიკის შესადგენად და გამოსაყენებლად სახელმწიფო დანახარჯების მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოსათვლელი ტექნიკის სამმართველო აღნიშნული კომიტეტის ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული საერთო რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოსათვლელი ტექნიკის სამმართველოს შესახებ.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებს დროულად შეუთანხმონ ახალი გამოთვლითი ცენტრების გახსნისა და დიდი და საშუალო ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძენის გეგმათა პროექტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაასაბუთოს და წარმოადგინოს 1976 წლის 1 აგვისტომდე წინადადებანი ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების რესპუბლიკური პარკის მანქანური დროის თავისუფალი ფონდის ცენტრალიზებული განაწილებისათვის სადისპეტჩერო სამსახურის ორგანიზაციის შესახებ.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ მიიღონ ქმედითი ზომები გამოთვლითი ცენტრების ნომენკლატურის საჭირო მოწყობილობითა და მასალებით მათი შეუფერხებელი მომარაგებისათვის, არ დაუშვან ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების მოცდენის შემთხვევები მომარაგების არასათანადო დონის გამო.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მიიღოს ქმედითი ზომები თავისი საქვეუწყებო გამოთვლითი ცენტრის, როგორც ალგორითმებისა და პროგრამების შეგროვების, აპრობაციისა და რეგისტრაციის მთავარი ორგანიზაციის, მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, გამოსათვლელი ტექნიკის ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონის 1976 წლის ბოლომდე გამოცემის უზრუნველსაყოფად.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ჩამორჩენა ნორმატიული ინფორმაციის სისტემის სრულყოფისა და პირველადი დოკუმენტაციის უნიფიკაციის წინასწარ სამუშაოთა განხორციელებაში და უზრუნველყონ ამის საფუძველზე გამოსათვლელი ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა გეგმიანი დანერგვა საჭირო მასშტაბით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

— რესპუბლიკაში ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების პარკის ზრდის (2000 წლამდე) მეცნიერულად დასაბუთებული საპროგნოზო შეფასების საფუძველზე გაითვალისწინონ დაპროგრამებისა და ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის დარგში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა გამოშვების სათანადო გადიდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკაში გამოსათვლელი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალისტთა მოსამზადებლად ტექნიკუმის გახსნის შესახებ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეისწავლონ თანამედროვე და პერსპექტიული ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების ექსპლუატაციის დროს გამოყენებული ალგორითმული ენების შემსწავლელი სამეურნეოანგარიშიანი კურსების ორგანიზაციის საკითხი და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყონ გამოსათვლელი ტექნიკის საჭირო ლიტერატურის გამოცემა ქართულ ენაზე მცირე პოლიგრაფიის წესით.

გამონახონ შესაძლებლობა, რათა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითს ცენტრს გამოეყოს 1976 წელს „როტაპრინტის“ ტიპის ერთი საბეჭდი მანქანა ალგორითმებისა და პროგრამების რესპუბლიკური ფონდის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გამოუყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას მიზნობრივი დანიშნულებით 800 კილოგრამი ქაღალდის ფონდი ალგორითმებისა და პროგრამების რესპუბლიკური ფონდისათვის.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს:

— ორი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი რესპუბლიკაში ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების რესპუბლიკური პარკის ცენტრალიზებული ტექნიკური მომსახურების საწარმოს ორგანიზაციის შესახებ;

— გამონახოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით ხელფასის ფონდის 4 ათასი მანეთით გადიდების შესაძლებლობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრთან არსებული ალგორითმებისა და პროგრამების რესპუბლიკური ფონდის უზრუნველსაყოფად;

— ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის საკითხთა საუწყებათაშორისო საბჭოს შემადგენლობის დაზუსტებული სია.

13. დაწესდეს, რომ მინისტრებს, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა მათდამი დაქვემდებარებულ დარგებში, საწარმოებში მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოსათვლელი ტექნიკის შემუშავებისა და დანერგვის სამუშაოთა მდგომარეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი დაკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 23 ივნისი № 441

47 სსრ კავშირის მშენებანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სესხების მიხედვით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ვადაგასული დავალიანების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო კრედიტის დახმარებით აშენდა 496 კოოპერაციული სახლი 1.653 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, მათ შორის ქალაქ თბილისში — 352 სახლი 1.261 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, რის შედეგადაც რესპუბლიკაში კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფილია 29 ათასზე მეტი ოჯახი, მათ შორის ქალაქ თბილისში — 21,8 ათასი ოჯახი.

ამასთანავე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიერ ბანკის სესხების დაფარვა ძალზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მონაცემებით, 1976 წლის 1 ივნისისათვის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ვადაგასულმა დავალიანებამ ბანკის სესხების მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკაში მიაღწია 2.201 ათას მანეთს, რაც მთელ სსრ კავშირში არსებული დავალიანების დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს. დავალიანება ქალაქ თბილისში 1.929 ათას მანეთს, ანუ რესპუბლიკაში არსებული დავალიანების 87,7 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფოს სესხების მიხედვით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ესოდენ დიდი დავალიანება იმის შედეგად წარმოიქმნა, რომ კოოპერატივების წევრთა მნიშვნელოვანი რაოდენობა არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, სრულ უმოქმედობასა და ჩაურევლობას იჩენენ შესაბამისი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გამგეობები, რომლებიც არ იყენებენ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მინიჭებულ უფლებას — უდავოდ გადაახდევინონ დავალიანება კოოპერატივების წევრებს.

პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის ეკისრებათ შესაბამისი ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებსაც, რომლებიც მთლიანად არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებებს — კონტროლი გაუწიონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობას, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 1 ივლისის № 346 დადგენილებით დამტკიცებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდება, აგრეთვე არ შეუქმნიათ, სადაც ეს საჭიროა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის განყოფილებები ან ჯგუფები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 აპრილის № 342 განკარგულების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ განუხრელად დაიცვას კოოპერატივებთან თავის ურთიერთობაში სსრ კავშირის მშენბანკის მიერ დამტკიცებული კოოპერაციული საბინაო მშენებლობის დაკრედიტების წესების მოთხოვნები და მისცეს შესაბამისი მითითება ბანკის ადგილობრივ დაწესებულებებს.

2. დაევალოთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს და ქალაქ თბილისის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, ქუთაისის, გორის, რუსთავის, მახარაძის, ზუგდიდისა და ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ განიხილონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სესხების დავალიანების დაფარვის მდგომარეობის საკითხი და წინადადება მისცენ კოოპერატივების გამგეობებს უზრუნველყონ კოოპერატივების წევრთა მიერ მიღებული სესხის დაფარვისათვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება, ხოლო კოოპერატივების წევრებს, რომლებიც თავს არიდებენ ბანკის სესხის დაფარვას, გადაახდევინონ დავალიანება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 24-ე პუნქტით დადგენილი წესით, სანოტარო ორგანოების აღსრულებითი წარწერების საფუძველზე.

3. განემარტოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რომ კოოპერატივის წევრის ბოროტად თავის არიდება სახელმწიფო სესხის დაფარვისაგან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდების ერთ-ერთი უხეში დარღვევა და ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობაა, რისთვისაც კოოპერატივის წევრი შეიძლება გაირიცხოს კოოპერატივიდან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 27-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 ივნისის № 358 დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ კოოპერატივების იმ წევრთა საკითხი, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც ბოროტად თავს არიდებენ სესხების დავალიანების დაფარვას, სანიმუშო წესდების 28-ე პუნქტის შესაბამისად.

4. თუ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გამგეობები სისტემატურად არ ასრულებენ ბანკის სესხების დასაფარავად კოოპერატივების წევრთათვის გადასახდელების გადახდევინების მოვალეობებს, რის შედეგადაც წარმოიქმნა ვადაგასული დავალიანება მნიშვნელოვანი ოდენობით, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ პროკურატურის ორგანოებს გადაეცეთ მასალები საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების გამგეობების შესაბამის თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მისაცემად დაუდევრობისათვის, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

5. დაევალოთ იმ ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სადაც საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მოცულობა მოითხოვს მისი საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის სპეციალური ორგანოს დაარსებას, შექმნან დადგენილი წესით შესაბამისი განყოფილებები ან ჯგუფები.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განიხილონ სსრ კავშირის მშენბანკის სესხების მიხედვით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების დავალიანების მდგომარეობის საკითხი და მიიღონ ქმედითი ზომები მისი უცილობლივ დაფარვისათვის.

7. სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ამხ. ზ. გ. გენძეხაძემ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. თ. ლობჟანიძემ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება — შესაბამისად რესპუბლიკაში და ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 25 ივნისი № 447

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 за 1976 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/X-76 წ. ქაღალდის ფორმატი 70 × 108 1/16
საბეჭდი თაბახი 3, სააღრიცხვო თაბახი 3.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეკვეთა № 869 УЕ 11418 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ბ 23/204

ეროვნული
ბიბლიოთეკა